ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №29

ქალაქი ქუთაისი 24 აპრილი 2023 წელი

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია“,**
წარმოდგენილი უფროსის დემური ინანეიშვილის სახით
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
საიდენტიფიკაციო ნომერი: №412767830
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
(**შემდგომში შემსყიდველი)**

და მეორეს მხრივ,
შ.პ.ს „რაპაკა“
წარმოდგენილი **შ.პ.ს „რაპაკა“-ს** დირექტორის, **კახაბერ გვეტაძის** სახით,
მისამართი: ქ. ქუთაისი, წერეთლის N35
საიდენტიფიკაციო ნომერი: №412704505
ტელეფონის ნომერი: +995 555-12-21-12
ელექტრონული ფოსტა: Ltd.rapaka@mail.ru
საბანკო რეკვიზიტი: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: №GE37TB7302436070100001
(შემდგომში მიმწოდებელი)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლისა 1 პუნქტის „ს ' “ ქვეპუნქტის შესაბამისად.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ _ ,,ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ ,,შემსყიდველი“) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 ,,მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 ,,დღე“, ,,კვირა“, ,,თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
1.6 „საქონელი“– ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია” – მიმწოდებლის მიერ აუქციონის გარეშე ერთეტაპიან ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსის ბეჭდისა და შტამპის, მათი კონსტრუქციებისა და სპეციალური მელანის შესყიდვა.
2.2 კლასიფიკატორის კოდი – 30100000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: 45 (ორმოცდა ხუთი) ლარს.

Kakhaberi Gvetadze 60002020439
Digitally signed by Kakhaberi Gvetadze
Date: 2023.04.24 17:12:08

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ.

4.2 ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ,,შემსყიდველი", კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ ,,შემსყიდველი“ კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით ,,შემსყიდველი“.

4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს“ დაწუნებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.

4.4 ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

5.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსის ბეჭდისა და შტამპის, მათი კონსტრუქციისა და სპეციალური მელანის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 28 აპრილის ჩათვლით.

5.2 მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი.

5.3 საქონელი მოწოდებული უნდა იქნას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3, ოთახი N19).

5.4 ბეჭდებისა და შტამპების წარწერისა და ლოგოს ნიმუში უნდა დამზადდეს „შემსყიდველთან“ შეთანხმებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

6.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

6.3 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: საქონლის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება.

6.4 ფასების ცხრილში მოცემული საქონლის რაოდენობები „შემსყიდველმა“ შესაძლებელია სრულად არ შეისყიდოს და ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, ერთეულის ღირებულების შეუცვლელად.

6.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლი“–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ღირებულება;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი;

გ) მიწოდებული საქონლის შესაბამისად ამოწერილი სასაქონლო ზედნადები.

7.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, (გადარიცხვა) ლარებში.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არა უგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში

დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი-შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების (დანართი-შეთანხმება) შეტანის გზით.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 ,,შემსყიდველი“ უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან“ მისთვის საჭირო ინფორმაცია
10.2 ,,შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი“–ს მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
10.3 ,,მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
10.4 ,,მიმწოდებელი“ ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. ქვეკონტრაქტორები

11.1 ,,მიმწოდებელმა" წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველა ქვეკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულებების შესახებ.
11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა ქვეკონტრაქტთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი ქვეკონტრაქტი არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.
12.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
12.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
12.5 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 12.3 და 12.4 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა ჯამში მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 3%–ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.6 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, მხარე რომელმაც არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, გადაიხდის პირგასამტეხლოს 575 (ხუთას სამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით
12.7 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის“ დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო

ხაზინაში.

12.8 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ;

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 28 მაისის ჩათვლით.

16. საქართველოს კანონის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ თანახმად ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქუთაისი 24 აპრილი 2023 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შ.პ.ს „რაპაკა“ ს/კოდი 412704505 შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ უფროსი დ. ინანეიშვილი

ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“

ბუღალტერია შესყიდვების სპეციალისტი მ. ლოსაბერიძე

Maia Losaberidze

Digitally signed by Maia Losaberidze
DN: cn=Maia Losaberidze, serialNumber=PNOGE-60001083825, givenName=Maia, sn=Losaberidze, o=Citizen, c=GE
Date: 2023.04.24 16:54:17 +04'00'